



მოკლე ინფორმაცია მოქალაქეებისთვის

მოკლე ინფორმაცია მოქალაქეებისთვის
ივლისი, 2019

#EU4Energy
#EnergyReforms4Citizens



რა სარგებელს მიიღებენ საქართველოს მოქალაქეები შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ ახალი კანონით?




შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ ახალი კანონი:
მოქალაქეებისთვის უზრუნველყოფს შესაძლებლობას დაზოგონ
ფული ენერჯის გამოყენებაზე, გაიუმჯობესონ სახლში კომფორტის
დონე და ჰქონდეთ უფრო ჯანსაღი საშინაო გარემო

ეს მოკლე ინფორმაცია მოქალაქეთათვის შექმნილია ევროკავშირის დახმარებით EU4Energy-ის ინიციატივის ფარგლებში. მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს ენერგეტიკული თანამეგობრობის სამდივნოს ექსკლუზიურ პასუხისმგებლობას და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც ევროკავშირის მოსაზრებების ასახვა.

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ EU4Energy-ის ინიციატივის ფარგლებში.

რატომ არის საჭირო ახალი კანონი?



იცოდით, რომ საქართველოს ეკონომიკის ენერგომომხმარებელთა ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე 30%-ით უფრო მაღალია? რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო მაღალი ენერგოტევადობით ხასიათდება - მისი ეკონომიკა საქონლისა და მომსახურების სანარმოებლად უფრო მეტ ენერგიას იყენებს, ვიდრე საჭიროა და სანაცვლოდ, საქართველოს მოქალაქეები ანაზღაურებენ დიდი მოცულობით დაკარგული ენერჯის საფასურს.

ენერგოტევადობა განსაზღვრავს თუ რამდენად ეფექტიანად იყენებს ეკონომიკა ენერგიას. ენერგოტევადობის დაბალი დონე ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას ისეთ ქვეყანაში, რომელიც არ არის დამოკიდებული ენერჯის გაზრდილ მოხმარებაზე. ენერგომომხმარებლის შემცირების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ენერგოეფექტიანობის ღონისძიებების დანერგვა ეკონომიკის ყველა დარგში: მრეწველობის, ტრანსპორტის და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სამშენებლო სექტორში. რეალურად, საქართველოში სამშენებლო სექტორზე მოდის ენერჯის დაზოგვის პოტენციალის დაახლოებით 40%.

როგორია არსებული რეალობა? ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელებული EU4Energy-ის მმართველობის პროექტი, თანამშრომლობს საქართველოსთან შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ ახალი კანონპროექტის და რიგი სამშენებლო რეგულაციათა შესამუშავებლად. ახალი კანონი უზრუნველყოფს შენობების ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესებას და დაკარგული ენერჯის მოცულობის შემცირებას. მოქალაქეები სარგებელს ნახავენ ენერგოეფექტიანი სახლებით და შესაბამისად გადაიხდიან უფრო ნაკლებ გადასახადებს ენერჯიზე, მიიღებენ კომფორტის უფრო მაღალი დონეს და შეიქმნიან უფრო ჯანსაღ საშინაო გარემოს.

რას უნდა ველოდოთ შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ ახალი კანონის მიხედვით?

შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ ახალი კანონის მიხედვით, ყველა შენობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ენერგოეფექტიანობის მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრა ახალი შენობებისთვის, არსებული შენობების კაპიტალური სარემონტო სამუშაოებისთვის და შენობის კომპონენტების შეცვლის ან მოდერნიზაციისთვის (გათბობისა და გაგრილების სისტემები, სახურავები, კედლები და ა.შ.).

ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატების გაცემა შენობის გაყიდვის ან გაქირავების დროს; აღნიშნულით შენობის მყიდველები და დამქირავებლები შეძლებენ შეაფასონ შენობა ენერჯის მოხმარებისა და სამომავლოდ ცხოვრების ღონის მიხედვით.

გათბობისა და კონდიციონერების სისტემების შემოწმება რეგულარულად ენერჯის დანაზოგის უზრუნველსაყოფად;

შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ კანონი წარედგინა საქართველოს პარლამენტს და ამ ეტაპზე განიხილავს ეკონომიკური კომიტეტი. ძალაში შესვლიდან, ახალი კანონი საქართველოს სამშენებლო რეგულაციებს შესაბამისობაში მოიყვანს შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ 2010/31/EU ევროკავშირის დირექტივის მინიმალური ენერგოეფექტიანობის მოთხოვნებთან და ენერგეტიკული გაერთიანების მიმართ საქართველოს ვალდებულებებთან.

რატომ ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატები?



ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატები საქართველოს მოქალაქეებს აწვდის ინფორმაციას კუთვნილი სახლების ენერგოეფექტიანობის შესახებ, რაც საშუალებას მისცემს დაზოგონ ფული, გაიუმჯობესონ სახლში კომფორტი და შეიქმნან უფრო ჯანსაღი საშინაო გარემო.

ახალი სახლის შექმნა ან დაქირავება შესაძლოა რთული პროცესი იყოს. ახალ სახლში გადასვლის დროს ბევრი გადაწყვეტილების მიღება ხდება საჭირო და ადვილია დაგვაგინყდეს ენერჯის ხარჯზე დაფიქრება. ახალი კანონით, ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატის გამოცემა სავალდებულო იქნება ყველა შენობისთვის ან ბინისთვის, რომელიც იყიდება ან ქირავდება. სერტიფიკატი ახალ მესაკუთრეებს და დამქირავებლებს აწვდის სასარგებლო მონაცემებს ენერჯის წლიურ მოხმარებასთან დაკავშირებით და რეკომენდაციებს ხარჯ-ეფექტიანი საშუალებებით ენერჯის მოხმარების შემცირების შესახებ.

კონკრეტული შენობისთვის ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატი წარმოდგენილია ფერადი შეფასების სქემით A-დან G-მდე, რაც აჩვენებს ენერჯის ფაქტობრივ მოხმარებას, მინიმალურ ენერგოეფექტიანობას და შენობის ან სახლის ენერგომოხმარების ხარჯ-ოპტიმალურ დონეს.

ხშირ შემთხვევაში ჩვენ არ ვაკავშირებთ ენერგოეფექტიანობის ღონისძიებებს ჯანმრთელობის საკითხებთან. თუმცა, შენობის ჰაერის ხარისხის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) გზამკვლევის მიხედვით არსებობს საკმარისი მტკიცებულება სინესტეს ან ობის სოკოს და ასთმის განვითარებას და რესპირატორულ ინფექციებს (მაგ.: ხველა, სუნთქვის გაძნელება, ქოშინი) შორის კავშირზე. ენერგოეფექტიანობის ღონისძიებები, როგორცაა თბოიზოლაცია, ვენტილაცია, და ა.შ. განაპირობებს ჰაერის უკეთეს ხარისხს და ახდენს ჭარბი ტენიანობის და მიკრობების ბრდის პრევენციას და კონტროლს, რაც თავის მხრივ ქმნის უფრო ჯანსაღ საშინაო გარემოს.

ძირითადი სარგებელი:

- ზოგავს თანხას ენერჯის გადასახადებზე
- აუმჯობესებს კომფორტის დონეს სახლში (უკეთესი ტემპერატურა, ნაკლები ტენიანობა)
- ქმნის უფრო ჯანსაღ საშინაო გარემოს (ჰაერის უკეთესი ხარისხი შენობაში)

ენერგოეფექტიანობა თქვენ სახლებში

მოქალაქეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ენერგოეფექტიანობა არ ნიშნავს ენერჯის გამოყენებაზე შეზღუდვის დაწესებას. ენერგოეფექტიანობა გულისხმობს ენერჯის გონივრულად გამოყენებას და არა მის დაკარგვას. მოქალაქეთა ქცევის შეცვლა, განსაკუთრებით საკუთარ სახლებში, იქნება ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც განხორციელდება ახალი კანონის ამოქმედებისთანავე.

მოქალაქეებმა შეიძლება განახორციელონ როგორც ნაკლებხარჯიანი, ასევე უდანახარჯო ენერგოეფექტიანი ღონისძიებები, როგორცაა განათებისთვის მოძრაობის სენსორის დამონტაჟება, რომელიც რეაგირებს ადამიანის მოძრაობაზე და ელექტროროზეტის ბლოკის გამოყენება, ისეთი მოწყობილობების გამოსართავად, რომლებიც არ გამოიყენება. ენერგოეფექტიანობის გასაზრდელად საყოფაცხოვრებო მოწყობილობებში ინვესტიციის განხორციელებამ შეიძლება გაზარდოს ენერჯის დანაზოგი, გააუმჯობესოს კომფორტის დონე და განაპირობოს ჯანმრთელობის უკეთესი ხარისხი. ძირითადი მიმართულებები, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს მაღალდანახარჯიანი ენერგოეფექტიანი ინვესტიციები შემდეგში მდგომარეობს:



სივრცის გათბობა



სივრცის გაგრილება



ცხელ-წყალმომარაგება



ვენტილაცია



შიდა განათება



საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემები

საქართველოს მოქალაქეებს ენერგოეფექტიანობის კუთხით ინვესტიციების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ენერგოეფექტურობის ცენტრში (EEC) (www.eecgeo.org).

ფაქტები და რჩევები მოქალაქეებისთვის

შეცვალეთ ძველი ნათურები კომპაქტური ფლუორესცენციური (CFL) ან LED განათებით. CFL და LED განათების შემთხვევაში, ხარჯი

75%

ნაკლებია და ათჯერ უფრო დიდხანს მუშაობს.

შეცვალეთ ძველი წყლის გამათბობელი ახალი ენერგოეფექტიანი მოწყობილობით და შეამცირეთ ენერჯის მოხმარება

20%

მიღებული დანაზოგი აანაზღაურებს ახალი მოწყობილობის ხარჯს.

ამოავსეთ ფანჯრებსა და კარებში არსებული ნაპრალები და ყოველწლიურად დაზოგეთ თქვენი სახლის გათბობისა და გაგრილების ხარჯს

10%

დაათუნეთ სახლი. სითბოს

55%

იკარგება სახლის სახურავიდან და კედლებიდან.

მეტი იდეებისა და მაგალითებისთვის, თუ როგორ გააუმჯობესოთ თქვენს სახლში ენერჯის გამოყენება და დაზოგოთ ფული, მიჰყევით ჰეშთეგს [#EnergyReforms4Citizens](https://www.facebook.com/EnergyReforms4Citizens) Facebook-ისა და Twitter-ის გვერდებზე!

ენერგეტიკული თანამეგობრობის სამდივნო

Am Hof 4, Level 5-6, 1010 Vienna,
Austria
Tel. +431 535 2222

EU4Energy-ის სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს რეგიონული ოფისი

სანაპიროს ქ., 2, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 032 299 10 17

*EU4Energy ინიციატივა მოიცავს ევროკავშირის ყველა დახმარებას, რომელიც ითვალისწინებს ენერგომომარაგების, უსაფრთხოებისა და კავშირის გაუმჯობესებას; ასევე ენერგოეფექტურობის ხელშეწყობას და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებას აღმოსავლეთ პარტიორობის ქვეყნებში, კერძოდ, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთ, ბელარუსი, მოლდავეთი და უკრაინა. აღნიშნულს ინიციატივა ახორციელებს პროექტებისა და პროგრამების დაფინანსების გზით, რომლებიც ეხმარება ენერგობაზრების რეფორმირებასა და ენერგეტიკული დამოკიდებულებისა და მოხმარების შემცირებაში. გძელვადიან პერსპექტივაში, ეს პროცესი ენერგომომარაგებას გახდის უფრო საიმედოს, გამჭვირვალეს და ხელმისაწვდომს, რითაც შემცირდება ენერგეტიკული სიღარიბე და ენერგიაზე გადასახადი როგორც მოქალაქეებისთვის, ასევე კერძო სექტორისთვის.